საბჭოთა პრესის სარკეში

"პრავდა"

"დინამოს" მწვრთნელებმა ნ. ახალკაცის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ მოამზადეს გუნდი ფინალური მატჩისთვის. საბჭოთა ფეხბურთელებმა მიაღწიეს ფიზიკური მომზადების მაღალ დონეს, აჩვენეს ფილიგრანული ტექნიკა, რამაც მათ საშუალება მისცა გამკლავებოდნენ მეტოქის უაღრესად მჭიდრო მეურვეობას, ამასთან, გამოავლინეს სწორი ტაქტიკა და, რაც მთავარია - შეტევითი, კომბინაციური ფეხბურთისადმი ერთგულება, რითაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, სიამოვნება მიანიჭეს მაყურებლებს. ასეთი თამაშისთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს ყველა საბჭოთა ფეხბურთელი, თუმცა მინდორზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დ. ყიფიანმა, რომელსაც ხელთ ეპყრო შეტევის სადავეები. თავდასხმაში მწვავედ მოქმედებდნენ ვ. გუცაევი და ვ. დარასელია, ზუსტად თამაშობდა დაცვა.

"იზვესტია"

მწვრთნელმა და მისმა გუნდმა რთულ ფინალურ მატჩშიც არ უღალატეს თავიანთ საფეხბურთო კონცეფციებს, ისინი შემტევი, გამომგონებლური, ამასთან ერთად, აკურატული თამაშის ერთგულნი დარჩნენ იმ მომენტშიც კი, როცა "კარლ ცაისი" დაწინაურდა. "დინამოს" ორივე გოლმა კი გუნდის მაღალი კლასი დაადასტურა. დინამოელთა გამარჯვება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი მოპოვებულია მეგობრულ, ათლეტურად მომზადებულ გუნდთან ბრძოლაში...

დღეს ჩვენ ამ გამარჯვებისთვის სიხარულით და სიამაყით ვეუბნებით მადლობას თბილისის დინამოელებს. მადლობა იმისთვის, რომ თასების მფლობელთა თასის მოპოვებით თქვენ აჩვენეთ, თუ როგორ შეიძლება და საჭიროა ბრძოლა საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩებში ნებისმიერ მოედანზე და ნებისმიერი მსაჯობის პირობებში. თბილისის "დინამოს" წარმატება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ სპორტში იმარჯვებს ოსტატობა და ნებისყოფა.

"კომსომოლსკაია პრავდა"

თბილისის "დინამოს" წარმატებათა გაკვეთილები ძალზე მნიშვნელოვანია მთელი საბჭოთა ფეხბურთისთვის, რომელსაც წლეულს საერთაშორისო სარბიელზე სერიოზული გამოცდა ელის. საფუძველი ჩაყრილია! დაე, ამ გამარჯვების მერცხალს, ცნობილი ანდაზის გასაქარწყლებლად, ბოლოს და ბოლოს, მოეყვანოს გაზაფხული. ჩვენი ფეხბურთის გაზაფხული!

"ტრუდი"

ამ მატჩებში თბილისელებმა საუცხოო ტექნიკასა და სწორ ტაქტიკასთან ერთად აჩვენეს ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება, გამარჯვებისკენ სწრაფვა. როცა გაბელიას კარში გოლი გავიდა, მათ არ დაუყრიათ ფარ-ხმალი, მეტი სიმწვავით დაიძრნენ მეტოქის კარისკენ. ამ მომენტშიც და მთელი მატჩის მანძილზე დინამოელთა შეტევებს დიროუორობდა ყიფიანი. აღტაცებას იწვევს მისი შრომისუნარიანობა. კრაუზეს მხრიდან მჭიდრო მეურვეობის მიუხედავად, ის განუწყვეტლივ მანევრირებდა მთელს მოედანზე, თავდაუზოგავად იბრძოდა და პარტნიორებს ბურთებით ამარაგებდა. ფინალურ მატჩში თბილისელთა გამარჯვება სავსებით კანონზომიერია.

"სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია"

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენეს და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში შთამბეჭდავად დაამარცხეს გდრ-ის "კარლ ცაისი" – 2:1. ეს მთელი საბჭოთა ფეხბურთის გამარჯვებაა.

აი, რა თქვა ფინალური მატჩის შემდეგ ცნობილმა სპეციალისტმა, გფრ-ის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა:

- თბილისელებს საკმაო დრო დასჭირდათ თავიანთი თამაშის საპოვნელად, მაგრამ მაინც მოახერხეს ეს. პირდაპირ უნდა ითქვას: "დინამო" ტექნიკური მომზადებით მაღლა იდგა მეტოქეზე, რაც განსაკუთრებით მეორე ტაიმში იგრძნობოდა. თბილისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. შეუდარებელი იყო ყიფიანი. მე მას დიდი ხანია ვიცნობ. "დინამოში" სხვა პირველხარისხოვანი ფეხბურთელებიც არიან.

უცხოელები აღიარებენ

ვენა. 14 მაისი. "თასის ფინალის საკადრი შესანიშნავი თამაში". - ასე ახასიათებს ავსტრიის საინფორმაციო სააგენტო **აპა** მატჩს თბილისის "დინამოსა" და იენის "კარლ ცაისს" შორის.

სააგენტოს ცნობაში ნათქვამია: "როცა ყველანი უკვე განწყობილი ვიყავით დამატებითი დროის საცქერლად, დარასელიამ ელვისებური აქცია განახორციელა, ლამაზად მოატყუა ორი მოპირდაპირე მცველი და აუღებელი ბურთი გაგზავნა მეკარისგან მარჯვენა კუთხეში".

აპა აღნიშნავს საბჭოთა ფეხბურთელთა უპირატესობას როგორც ტექნიკური ოსტატობის მხრივ, ისე საერთო შეთამაშებითაც. მისი აზრით, გუნდს წარმატებისთვის შეეძლო მიეღწია პირველი ტაიმის დასასრულსვე, როცა რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა "კარლ ცაისის" კართან, მაგრამ მეკარე გრაპენტინმა იხსნა იენელები".

სააგენტო აღნიშნავს დინამოელთა ლიდერის დავით ყიფიანის საუცხოო თამაშს, გამოჰყოფს, აგრეთვე, ჩივაძეს, დარასელიას, გუცაევს.

ბერლინი. 14 მაისი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესამ დამსახურებული უწოდა თბილისის "დინამოს" გამარჯვება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში.

"დოიჩეს შპროტეხო": "იენელები თავგამოდებით იბრძოდნენ ბოლომდე, თუმცა იძულებული იყვნენ დაეთმოთ უფრო ძლიერი გუნდისთვის. "კარლ ცაისმა" დაძაბული თამაშის შემდეგ წააგო პირველხარისხოვან კოლექტივთან, რომელმაც სამართლიანად მოიპოვა თასი".

"ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს: "ყიფიანი მეორე ტაიმში სულ უფრო მეტად იღებდა თამაშს საკუთარ თავზე და უნარიანად წარმართავდა მას". გაზეთი ასკვნის, რომ იენელთა გუნდმა ვერ შეძლო იმ ენთუზიაზმის გამოვლენა, რომელიც მას ჰქონდა "რომასთან", "ვალენსიასთან" და "ბენფიკასთან" შეხვედრებში.

”ნოიეს დოიჩლანდი” წერს: ”ქართველმს ოსტატებმა შეძლეს წარმატების უზრუნველყოფა თამაშის დასკვნით ფაზაში. ისინი დაჯილდოებული იქნენ მაღალი ოსტატობისა და სიმამაცისთვის”.

”ლელო”, 16 მაისი, 1981 წ.